

## განმარტებითი ბარათი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

#### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. კერძოდ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონითა და „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების ერთიანი წესის შემოღებით.

#### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნება მოხდეს იმავე წესით, როგორც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში განსაზღვრული.

#### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდეს იმავე წესით, როგორც ეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონშია განსაზღვრული. კერძოდ, ეროვნული ბანკის დაუყოვნებლივ ასამოქმედებელი ნორმატიული აქტი იუსტიციის სამინისტროს გადაეცემოდა სარეგისტრაციოდ და სახელმწიფო კოდის მისანიჭებლად და შემდგომ ხდებოდა მისი გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციით პირველ ეტაპზე ხდება ნორმატიული აქტის გამოქვეყნება, შემდგომ რეგისტრაცია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში.

### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

#### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

#### ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

#### ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

#### ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

*ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*  
კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

*ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):*  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

*გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:*  
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

*გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:*  
კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

*გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:*  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

*დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*  
კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

*დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:*  
ასეთი არ არსებობს.

*დ.გ) კანონპროექტის ავტორი*  
კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია

*დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი*  
კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია